ივლისი, აგვისტო, სექტემბერი
2018

GHRN
ზიანის შემსიჩების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

საინფორმაციო
ბიულეტენი N31

28 ივლისი
ჰეპატიტის მსოფლიო დღე

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 28 ივლისი ჰეპატიტის მსოფლიო დღედ არის გამოცხადებული. ბოლო წლებში საქართველომ C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ქმედითი ნაბიჯები გადადგა: 2015 წლიდან ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა მიმდინარეობს, რომლის მიზანია ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ასევე ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია. პროგრამის დაწყებიდან დღემდე 45 ათასზე მეტი პაციენტი ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში, აქედან მკურნალობის კურსი კარგი შედეგით 40 ათასმა პაციენტმა უკვე დაასრულა. ბენეფიციართა 98, 2 % – C ჰეპატიტისგან განიკურნა. მიუხედავად პროგრამის წარმატებისა, ამოქმედებიდან 20 თვის თავზე, დაავადებულთა მხოლოდ 20% ჩაერთო პროგრამაში. 2016 წლიდან კი, პროგრამაში ჩართვის მაჩვენებელი მუდმივად მცირდება. ქვეყანამ კი 2020 წლისათვის C ჰეპატიტის ელიმინაცია უნდა მოახდინოს. 2015 წლის პოპულაციის კვლევის მიხედვით, საქართველოში 150 ათასი C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი იყო, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროებოდა. თვისობრივად ელიმინაციის პროგრამა გულისხმობს ამ ადამიანების მკურნალობას, რამაც სხვა პრევენციულ

ვიპოვოთ 100 000 დაკარგული ადამიანი!

ინტერვენციებთან ერთად უნდა მოახდინოს C ჰეპატიტის გავრცელების მინიმუმადე დაყვანა და ელიმინაცია. დღესდღეობით საქართველოში 100 000 ადამიანი მკურნალობის მიღმა რჩება, ისინი სხვადასხვა მიზეზებისა და ბარიერების გამო არ არის ჩართული ელიმინაციის პროგრამაში. აღნიშნული ბარიერები ძირითადად უკავშირდება შემდეგ საკვანძო საკითხს: ფინანსურ ხელმისაწვდომობას, გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას და ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანების შემთხვევაში კრიმინალიზაციას.

! დღეს აღნიშნული ბარიერების გამო 100 000 ადამიანისთვის მკურნალობა ხელმიუწვდომელია.

ელიმინაციის მიზნის მისაღწევად აუცილებელია: არსებული ფინანსური და გეოგრაფიული ბარიერების აღმოფხვრა, რათა მოხდეს გამოვლენა, გამოვლენილი პაციენტების ელიმინაციის პროგრამაში ჩართვა და მკურნალობის ბოლომდე მიყვანა; ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების 90%-ის მკურნალობის პროგრამაში ჩართვა. არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში, ამ მიზნის მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის და ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის ორგანიზებით გამართული წლევანდელი კამპანია მიზნად ისახავდა ელიმინაციის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას და არსებული ბარიერების აღმოფხვრას.

კამპანიის „**ვიპოვოთ 100 000 დაკარგული ადამიანი**“ ფარგლებში 1 აგვისტოს მულტიფუნქციურ სივრცეში „ფაბრიკა“ პაციენტთა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მრგვალი მაგიდა გამართეს, რომლის მიზანს C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ზემოთაღნიშნული ბარიერების დაძლევა და ყველა დონის დაინტერესებულ მხარეებს შორის დისკუსიის ინიცირება წარმოადგენდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელები ასევე, დარგის ექსპერტები, კლინიცისტები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები, პროგრამის ბენეფიციარები და აქტივისტები – სულ 40 მონაწილე. ღონისძიებას ფასილიტაციას უწევდა აივ/შიდსის პროგრამის დირექტორი მაკა გოგია.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი პრეზენტაციები: ელიმინაციის პროგრამა, მიღწევები და გამოწვევები – ეკა ადამია, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სამეგრელო-ზემო სვანეთის საპილოტე პროგრამა – ირმა ხონელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; C ჰეპატიტის ელიმინაცია და ზიანის შემცირების პროგრამა საქართველოში – მაკა გოგია, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი; FIND-ის პროგრამა, მიღწევები და გამოწვევები – მაია ჯაფარიძე, FIND პროგრამის მენეჯერი; ზიანის შემცირების პროგრამაში C ჰეპატიტის მკურნალობის ინტეგრაცია, ბარიერების კვლევა – მაია ბუწაშვილი, კლინიკა ნეოლაბი/ჯანმრთელობის კვლევის კავშირი; თანასწორგანმანათლებელთა მხარდაჭერაზე დაფუძნებული ინტერვენციები C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართული ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის – თამარ კიკ-

ვიძე, მსოფლიო ექიმები – საფრანგეთი; ელიმინაცია დეკრიმინალიზაციის მოლოდინში, პაციენტთა თემის თვალით დანახული გამოწვევები და სამომავლო გეგმები – კონსტანტინე რუხაძე, პაციენტთა თემის საკონსულტაციო საბჭო (GeCAB). შეხვედრაზე მონაწილეებმა იმსჯელეს ელიმინაციის პროგრამის მიღწევებსა და იმ ბარიერებზე, რომელსაც ნარკოტიკების მომხმარებლები ჰეპატიტის დიაგნოსტიკა/მკურნალობის პროცესში აწყდებიან. გაჟღერდა პაციენტთა ვიდეო მიმართვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. საუბარი გაიმართა ასევე პაციენტთა თემის როლზე ელიმინაციის პროგრამაში, რამაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა აღნიშნული კომპონენტის მნიშვნელობას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროცესში. „ჩვენ ძალიან ამბიციური სამიზნე გვაქვს. ჩვენი სამიზნეა 90-95-95, რომ 2020 წლის ბოლოს მოსახლეობის 90% უნდა იყოს გამოკვლეული, ვინც დადებითი იქნება, იქიდან 95% უნდა ჩაერთოს მკურნალობაში და 95% უნდა განიკურნოს. ძალიან ამბიციურია. რასაც ვამბობთ, ოდნავ სატრაბახო გაქვს ის, რომ ამ მაჩვენებლებით ჩვენი მოსახლეობის 1/3 დასკრინულია, 1/3 სამიზნე მაჩვენებლის უკვე ნამკურნალევია, ამით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ. მსოფლიოში მოცვის საშუალო მაჩვენებელი არის 7%-დან 15%-ის ფარგლებში, ჩვენ გვაქვს 30-35% მკურნალობაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მე ძალიან მინდა, რომ საქართველო იყოს პირველ ქვეყანა, სადაც ეს ვერაგი დაავადება აღმოიფხვრება. ამის რეალური შანსი, რეალური საშუალება ქვეყანას აქვს და ეს ყველამ უნდა გამოიყენოს“ – აღნიშნა შეხვედრაზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ. მან ისაუბრა ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის საპილოტე პროგრამის შედეგების შესახებ და აღნიშნა, რომ პროექტები უკვე დეპენტალიზაციის მიმართულებით მიდის სამეგრელო-ზემო სვანეთში, უახლოეს მომავალში აჭარაში, კახეთში დაიწყება და საქართველოს ყველა რეგიონში განხორციელდება. ასე,რომ მკურნალობა გეოგრაფიულად მაქსიმალურად იქნება ხელმისაწვდომი ყველა პაციენტისთვის. ეკა ადამიამ, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მარტივდება დიაგნოსტიკური ალგორითმები და კიდევ უფრო გაიაფდება დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულება, რაც უფრო გაამარტივებს მკურნალობაში ჩართვას. „ამიტომ ადამიანებმა უნდა მოინდომონ და ჩაიტარონ ტესტირება, რადგან უმრავლესობამ არ იცის რომ C ჰეპატიტით არის დაავადებული“ – აღნიშნა მან. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მრგვალი მაგიდა ინტერაქტიურ რეჟიმში გაიმართა და დამსწრეების მხრიდან ნაყოფიერად შეფასდა. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ყველა ბარიერის დაძლევა, დაკარგული 100 000 ადამიანის პოვნა და ელიმინაციის პროგრამის წარმატებით დასრულება.

26-27 ივლისს მედიასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მობილური ამბულატორიების საშუალებით საზოგადოებრივი მაუწყებლის, რუსთავი2 და იმედის ჟურნალისტებისთვის ჩატარდა ნებაყოფლობითი ტესტირება აივ ინფექციასა და ც ჰეპატიტზე. ტესტირებაში 100-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

28 ივლისის ჰეპატიტების საერთაშორისო დღე – თბილისი

28 ივლისს ჰეპატიტების საერთაშორისო დღეს „ზიანის შემცირების ქსელის“ ორგანიზაციების „ახალი ვექტორის“ და „ჰეპა+“-ის ორგანიზებით თბილისში მეტრო სადგურ „რუსთაველის“ და „თავისუფლების მოედანზე განთავსდა მობილური ამბულატორიები და მოქალაქეებს ქონდათ საშუალება ჩაეტარებინათ სწრაფი ტესტირება C ჰეპატიტის ვირუსის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ ტესტირება უფასო იყო მომართვიანობა მაღალი არ იყო, რაც არის საზოგადოების არა ინფორმირებულობის და ნიჰილისტური დამოკიდებულების ბრალი დაავადების მიმართ.
ჰეპატიტების საერთაშორისო დღის აღნიშვნა პარლამენტის შენობასთან აქცია პერფორმანსით დასრულდა. აქციის მიზანი იყო იმ ბარიერების ხილვადობის გაზრდა, რომლებიც ხელს უშლიან ელიმინაციის პროგრამაში მოქალაქეების ჩართულობას.

28 ივლისი ჰეპატიტების საერთაშორისო დღე – გორი

28 ივლისი ჰეპატიტების საერთაშორისო დღე გორში აქტიურად აღინიშნა.

ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“ ტრადიციულად აღნიშნავს ამ თარიღს. მთელი დღის განმავლობაში სხვადსხვა ფორმატით ხდებოდა მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება C ჰეპატიტის, როგორც ავადობის და ასევე ელიმინაციის პროგრამის შესახებ. წლევანდელი ღონისძიების სლოგანი იყო „ცოტაC”. დღის ბოლოს კი სტალინის სახელობის ბაღში კონცერტი გაიმართა.

28 ივლისი ჰეპატიტების საერთაშორისო დღე – ზუგდიდი

27 ივლისს ასოციაცია „ქსენონის“ ორგანიზებით, ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჰეპატიტის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა „C ჰეპატიტის ელიმინაცია საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“ გაიმართა. შეხვედრას, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯანდაცვის სამსახურების, სამედიცინო კლინიკების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შედეგების გაცნობას/წარდგენას. სამთავრობო და სამოქალაქო სექტორებს შორის მოხდა ინფორმაციის გაზიარება ორივე სექტორში არსებული მკურნალობა/დიაგნოსტიკის შესაძლებლობების შესახებ.

31 აგვისტო – ზედოზირებაზე ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღე

საადვოკაციო კამპანიის „მზრუნველობა დასჯის ნაცვლად“ ფარგლებში „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა“ (GeNPUD) და „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ (GHRN) ორგანიზებით 31 აგვისტოს „ზედოზირების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ეროვნული კამპანია გაიმართა, რომლის ძირითადი გზავნილი იყო: **გადავარჩინოთ სიცოცხლე!**

ტრადიციულად 2018 წლის 31 აგვისტოს, ეროვნული კამპანიის ფარგლებში ნარკოტიკების მომხმარებლები, მათი ოჯახის წევრები და მხარდამჭერები საქართვე-

ლოს 8 ქალაქში: თბილისი, რუსთავი, გორი, თელავი, ქუთაისი, ოზურგეთი, ბათუმი, ფოთი მარადიული „სიცოცხლის ხეების“ დარგვის აქციით, პატივი მიაგეს ზედოზირებით გარდაცვლილ ადამიანებს და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში დაღუპულ ნარკომომხმარებელთა ხსოვნას, მეორე მხრივ სოლიდარობა გამოუცხადეს ნარკოტიკების მომხმარებლებს და მათი ოჯახის წევრებს, რათა მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა.

თბილისში, „სიცოცხლის ხეების“ დარგვის აქცია ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა.

31 აგვისტო – რუსთავი

31 აგვისტო – ქუთაისი

ზედოზირების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღე აღინიშნა ქუთაისში პარლამენტის მიმდებარე სკვერში. სიცოცხლის ხეების აქციას ორგანიზება გაუწიეს ორგანიზაციებმა „ახალმა გზა“ და „რუბიკონი“

31 აგვისტო – ბათუმი

ზედოზირების შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე აღინიშნა ბათუმშიც. სიცოცხლის ხეების დარგვას ორგანიზება გაუწია ორგანიზაციამ „იმედი“.

31 აგვისტო – ოზურგეთი

ოზურგეთში, ზედოზირებით გარდაცვლილი ადამიანების საპატივცემულოდ, ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში დაირგო კვიპაროსის ხეები. აქცია ორგანიზებული იყო ორგანიზაცია „ფენიქსის“ მიერ.

ერთად დავამარცხოთ ტუბერკულოზი!

2018 წლის 26 სექტემბერს გაერთიანებულმა ერების ორგანიზაციამ ნიუ იორკის სათაო ოფისში თავი მოუყარა უმაღლესი დონის შეხვედრას ტუბერკულოზის საკითხების განსახილველად „გაერთიანება ტუბერკულოზის დასასრულებლად: გადაუდებელი გლობალური პასუხი გლობალურ ეპიდემიაზე“. აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიისათვის გაეროს ოფისში შეიკრიბა წარმომადგენლობა 193 წევრი სახელმწიფოდან. სამიტი წარიმართა სპეციალურად შემუშავებული პოლიტიკური დეკლარაციის მიხედვით და განხილული იქნა მისი თითოეული პუნქტი. შედეგად ჩამოყალიბდა ოფიციალური პოლიტიკური დეკლარაცია ტუბერკულოზის საკითხზე, რომელიც ყველა ქვეყნისათვის გზამკვლევის როლს შეასრულებს ტუბერკულოზთან ბრძოლის პროცესში. ა/ო „ახალი ვექტორი“ – კამპანიით გამოეხმაურა გაეროს უმაღლესი დონის სამიტს, სადაც სახელმწიფოს ლიდერები გლობალური მასშტაბით ტუბერკულოზის დამარცხების სტრატეგიას განიხილავდნენ და მხარი დაუჭირა ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალურ სტრატეგიას.

26 სექტემბერს სახელმწიფო კანცელარიასთან „ახალი ვექტორის“ ორგანიზებით გაიმართა აქცია/პერფორმანსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა პაციენტებმა, მათი ოჯახის წევრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

კამპანიის ფარგლებში, სათემო ორგანიზაციის ინიციატივით და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით სოლიდარობის ნიშნად წითელ ფერში თბილისის სატელევიზიო ანძა განათდა.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე**
marinaasatiani@yahoo.com

ან

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და
საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:**

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60
ელ. ფოსტა: *info@hrn.ge*
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

GHRN
ზიანის შემსიჰების საქაჰთველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK